

## ძილად მისლვის ლოცვები

ლოცვითა წმიდათა მამათა ჩუენთათა, უფალო იესო ქრისტე, ღმერთო ჩუენო, შეგკწყალენ ჩუენ. ამინ.

დიდება შენდა, ღმერთო ჩუენო, დიდება შენდა.

მეუფეო ზეცათაო, ნუგეშინისმცემელო, სულო ჭეშმარიტებისაო რომელი ყოველგან ხარ და ყოველსავე ალავსებ მაღლითა შენითა; საუნჯეო კეთილთაო, მომნიჭებელო ცხოვრებისაო, მოვედ და დაემკვდრე ჩუენ შორის, და წმიდა მყუენ ჩუენ ყოვლისაგან ბიწისა, და აცხოვნენ, სახიერო, სულნი ჩუენნი.

წმიდაო ღმერთო, წმიდაო ძლიერო, წმიდაო უკუდაო, შეგკწყალენ ჩუენ (3-გ ზის).

დიდება მამასა და ძესა და წმიდასა სულსა, აწ და მარადის და უკუნიითი უკუნისამდე. ამინ.

ყოვლადწმიდაო სამებაო, შეგკწყალენ ჩუენ; უფალო, გპკსენ და გვილხინე ცოდვათა ჩუენთაგან; მეუფეო, შეგკნდევე უმჯულოებანი ჩუენნი; წმიდაო, მოიხილე და განკურნენ უძღურებანი ჩუენნი, სახელისა შენისათვის.

უფალო, შეგკწყალენ (3-გ ზის).

დიდება მამასა და ძესა და წმიდასა სულსა აწ და მარადის და უკუნიითი უკუნისამდე. ამინ.

არს

ჩუე

მიწ

ვით

შენი

მამაო ჩუენო, რომელი ხარ ცათა შინა, წმიდა იყავნ სახელი შენი; მოვედინ სუფევად შენი, იყავნ ნება შენი, ვითარცა ცათა შინა, ეგრეცა ქუეყანასა ზედა; პური ჩუენი არსობისა და მომცე ჩუენ დღეს; და მომიტევენ ჩუენ თანანადებნი ჩუენნი, ვითარცა ჩუენ მიუტევებთ თანამდებთა მათ ჩუენთა; და ნუ შემიყვანებ ჩუენ განსაცდელსა, არამედ მიქსნენ ჩუენ ბოროტისაგან. ამინ.

ტროპარნი:

მიწყალენ ჩუენ, უფალო, შემიწყალენ ჩუენ, რამეთუ ყოვლისავე სიტყვსმიცემისაგან უღონო ვართ, გარნა ამას ვეღრებას შენ, მეუფისა სახიერისა, ცოდვილნი ესე შევსწირავთ. მიწყალენ ჩუენ, უფალო, შემიწყალენ ჩუენ.

დიდება მამასა და ძესა და წმიდასა სულსა.

უფალო, შემიწყალენ ჩუენ, რამეთუ შენ გესავთ, ნუ განძირისხდები ჩუენ ფრიად და ნუცა მოიქსნენებ უმჯულოებათა ჩუენთა, არამედ მოიხილე ჩუენზედა წყალობით, ვითარცა სახიერ ხარ, და გპკსენ ჩუენ სამართლად რისხვისაგან შენისა, რამეთუ შენ ხარ ღმერთი ჩუენი, და ჩუენ ვართ ერნი შენნი, ყოველნივე ქმნულნი კელთა შენთანი ვართ, და სახელი შენი წოდებულ არს ჩუენზედა, და შემიწყალენ ჩუენ.

აწ და მარადის და უკუნიითი უკუნისამდე. ამინ.

მოწყალებისა კარი განგლე, კურთხეულო ღმრთისმშობელო, რათა რომელნი ესე შენ გესავთ, არა დავეცნეთ, არამედ

განვერნეთ წინააღმდეგობთა მტერთაგან, რამეთუ შენ ხარ ცხოვრებამ ნათესავისა ქრისტიანეთადასა.

უფალო, შეგკწყალენ (12-გ ზის).

ლოცვაჲ პირველი  
წმიდისა დიდისა მაკარისაჲ ღმრთისა  
მამისადმი

ღმერთო საუკუნეთაო და მეუფეო ყოვლისა არსებისაო, რომელმან ღირს მყავ მე მოწვევნად ჟამსა ამას, მომიტკვენ მე ცოლადანი ჩემნი, რომელნიცა ეკმენ დღეინდელსა დღესა, საქმიით, სიტყვით და გულისქმის-ყოფით; და განწმიდე, უფალო, მდაბალი სული ჩემი ყოვლისა ბიწისაგან კორცისა და სულისა, და მომეც მე, უფალო, ღამესა ამას შინა ძილად მისლვამ მშულობით, რაათა აღვსდგე მდაბლისა ჩემისა სარეცელისაგან, სათნო ვეყო წმიდასა სახელსა შენსა ყოველთა დღეთა ცხოვრებისა ჩემისათა და განვასხნე მბრძოლნი ჩემნი, კორციელნი და უკორცონი, და მივსენ მე, უფალო, ამაიდა გულისთქმათაგან შემაგინებელთა ჩემთა და საწაადელთაგან ბოროტთა, რამეთუ შენი არს მეუფებამ, ძალი და დიდებამ, მამისა და ძისა და წმიდისა სულისაჲ, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე. ამინ.

ლოცვაჲ მეორე უფლისა იესო ქრისტეს მიმართ

უფალო იესო ქრისტე, ძეო და სიტყუაო ღმრთისა ცხოველისაო, შემიწყალე მე უღირსი ესე მონაჲ შენი, და განფხუარ გონებისა ჩემისაგან გულის-სიტყუაჲ უჯეროჲ და ვნებული, რომელი ევა კურთხეულ ხარ უკუნითი უკუნისამდე. ამინ.

ხარ  
კეძე  
აღტ  
ნარე  
სი-ეპითი,  
უზრ  
ლოც  
ანუ  
დას  
აურ  
რთი  
შემი  
მამა  
უკუნ

ლოცვაჲ მესამე სულისა წმიდისა მიმართ

უფალო, მეუფეო ზეცათაო, ნუგეშინისმცემელო, სულო ჭეშმარიტებისაო, ნუგეშინისმცემელ მექმენ და შემინდვენ მე უღირსსა მონასა შენსა, რაოდენნიცა ვითარცა კაცმან ვსცოდენ დღეს ნებსით და უნებლიედ, მეცნიერებით და უმეტრებით, აღტაცებულობისაგან, უკრძალულობისაგან და დიდისა მცონარებისაგან, და უღებებისა ჩემისა; გინა თუ ვფუცე სახელი შენი წმიდაჲ, გინა თუ ვაფუცე, გინა ცილი ვწამე, გინა თუ ვგმე გონებითა, გინა თუ ვაგინე ვისმე, ანუ შევაწუხე, ანუ უზრახე ვისმე, გინა რადასამე ზღა განვარისხე ვინმე, ანუ უტყუე ვისმე, გინა მამა მოვიდა ჩემდა და შეურაცხ-ვყავ; გინა ვაჭირვე ძმასა და განვაწყარე, ანუ თუ მდგომარეობასა ჩემსა ლოცვასა და ფსალმუნებასა შინა გონებამ ჩემი ბოროტთა და საწუთოთა მიეკცა, გინა შესატყვისისა მეტად განვიშუ, ანუ ურცხნობით ვზრახე, ანუ ბილწვით, გინა ვიციე უგუნურებით, ანუ ვიცუდ-დიდებულე, ანუ ვიუბღებე, გინა ვიამპარტყავე, გინა მუენიერებისა მქონებელი ვიხილე და მისდამი დავსლბი, ანუ შეუტყუებლნი ჩემნი კადნიერებით ვზრახენ, გინა თუ დასაკლებელთა განვიციდი ძმისა ჩემისათა, ხოლო ჩემთა აურაცხელად და შეუნდობელად მყოფთა უშულებელს-ვპყოფდი უშჯულოებათა, გინა თუ ლოცვაჲ ჩემი უღებ-ვყავ, ანუ სხუაჲ რაიმე ბოროტ მიქმნიეს და არა მაკსოვენ, უფალო, უფალო, შემიწყალე და შემინდვე მე, უღირსსა და უქმარსა მონასა შენსა, ვითარცა სახიურმან და კაცთმოყუარემან, რაათა მშულობით დავწვე და დავიძინო მე, უძღებმან ამან, და გადიდებდე შენ, მამასა და ძესა და წმიდასა სულსა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე. ამინ.

ლოცვა მეთხმ

უფალო ღმერთო ჩუენო, რამცა შევცოდე დღეინდელსა ამას დღესა სიტყვთ, საქმით და გულისხმის-ყოფით, ვითარცა კაცთმოყუარებან, მომიტევენ მე; მშვლობისა ძილი და უშფოთველობად მომანიჭე მე; ანგელოსი შენი მფარველი მომივლინე, მფარველი და დამცველი ჩემი ყოვლისაგან ბოროტისა; რამეთუ შენ ხარ მფარველი სულთა და ჳორცთა ჩუენთა და შენდა დიდებასა აღუავლენდეთ, მამისა და ძისა და წმიდისა სულისა, აწ და მარადის და უკუნიითი უკუნისამდე ამინ.

ლოცვა მებხთს წმიდისა ანგელოსისა მიმართ

წმიდაო ანგელოსო უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესო, მცველო და მფარველო მდაბლისა სულისა და ჳორცთა ჩემთაო, რაოდენიცა რად განგამწარე, ანუ შევაწუხე დღეინდელსა ამას დღესა, სიტყვთ ანუ საქმით, შემინდევ და დამიფარე ღამესა ამას ყოვლისა განცდისა საფრჳეთაგან ეშმაკისათა, რამთა არა განგარისხო კაცთმოყუარე ღმერთი, და აღმწოცოს წიგნისა მისგან ცხოველთაჲსა, არამედ ღირსად გამომაჩინე მისისა კაცთმოყუარებისა და სახიერებისა, რამეთუ კურთხეულ არს ყოვლადწმიდაჲ სახელი მისი უკუნიითი უკუნისამდე ამინ.

კონდაკი ღმრთისმშობელისაჲ

ზესთა მბრძოლისა ჩემისათჳს და მოღუაწისა უძლეველისა, ვითარცა შენ მიერ ვსნილნი განსაცდელთაგან, სამადლობელსა შევსწირავთ, ღმრთისმშობელო ქალწულო, შენდა მიმართ



მონანი შენნი, არამედ, ვითარცა გაქუს ძლიერებაჲ უბრძოლველი, ყოველთაგან ვნებათა განმათავისუფლენ ჩუენ რამთა გიგალობდეთ შენ, კურთხეულო: გიხაროდენ, სძალო უსძალო.

უფროსად დიდებულო და მარადის ქალწულო, დედაო ქრისტეს ღმრთისაო, მიართუ ლოცვაჲ ჩუენი ძესა შენსა და ღმერთსა ჩუენსა, რამთა აცხოვნენს სულნი ჩუენნი.

ყოველი სასოებაჲ ჩემი შენზედა დამიძს, დედაო ღმრთისაო, დამიფარე მე საფარველსა ქუეშე შენსა.

სასოება ჩემდა მამაჲ, შესავედრებულ ჩემდა ძმ, მფარველ ჩემდა სული წმიდაჲ, სამებაო წმიდაო, დიდებაჲ შენდა.

ღირს არს ჳემმარიტად, რამთა გადიდებდეთ შენ, ღმრთისმშობელო, რომელი მარადის სანატრელ იქმენ, ყოვლადუბიწოდ და დედად ღმრთისა ჩუენისა. უპატიოსნესსა ქერუბიმთასა და აღმატებით უზესთაესსა სერაფიმთასა,\* განუხრწნელად მშობელსა სიტყვსა ღმრთისასა, მხოლოსა ღმრთისმშობელსა გალობით გადიდებდეთ.

\*ქერუბიმები და სერაფიმები - ქერუბიმები (ებრ. ქერუფიმ - მეცნიერება, გულისხმის-ყოფა, სიბრძნე, ცოდნა), სერაფიმთა შემდეგ ერთ-ერთი ვეელაზე უმაღლესი დასი ანგელოზთა (ებრ. ანგელოს - მაცნე); გამოიხატება მრავალთვალეა ექესი ფრთით.

სერაფიმები (ებრ. სერაფიმ - ცეცხლის პირება, მოძწველ პირისა, ანთებული, აღმოდებული, ცეცხლოვანი), ანგელოზთა იერარქიის უმაღლესი დასის ანგელოზები, ღმრთის მიმართ სიყვარულით აღმოდებულნი. გამოიხატებიან ადამიანთა სახით და ექესი ფრთით, ორი ფრთით იფარავენ ღმრთის წინაშე სახეს, ორით - ფეხებს, ორი დანარჩენით - ფრენენ.

განანათლენ თუალნი ჩემნი, ქრისტე ღმერთო, ნუუკუე დავიძინო მე სიკუდიდ, ნუ სადა სთქუას მტერმან ჩემმან: მრე ვეყავ მას.

დიდებაჲ მამასა და ძესა და წმიდასა სულსა.

შემწე სულისა ჩემისა იქმენ, ქრისტე ღმერთო, რამეთუ შორის საფრცეთა მრავალთა ვალ, მივსენ მათგან და მაცხოვრე მე, ვითარცა სახიერმან და ვითარცა კაცთმოყუარემან.

აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე. ამინ.

ყოვლადდიდებულო, დედაო ღმრთისაო და წმიდათა ანგელოსთა უწმიდესო, დაუღუბებულად გადიდებთ გულითა და პირითა და ღმრთისმშობლად აღვიარებთ შენ, რამეთუ ჭეშმარიტად გვშევე ჩუენ ღმერთი ჴორციითა და მეოხ ხარ მარადის სულთა ჩუენთათჳს.

*ლოცვაჲ პატიოსნისა და ცხოველსმყოფელისა  
ჯუარისადმი*

აღდგენ ღმერთი, და განიბნინედ ყოველნი მტერნი მისნი, და ივლტოდენ მოძულენი მისნი პირისა მისისაგან. ვითარცა მოაკლდეს კუამლსა, მოაკლდეს, და ვითარცა ცვლი რამ დასდნის წინაშე ცეცხლსა, ვერუ წარწყმედენ ეშმაკნი პირისაგან მათისა, რომელთა უყუარს ღმერთი და გამოისახვენ პირს-ჯუარსა, და სიხარულითა იტყუან: ვიხაროდენ, ყოვლად-პატიოსანო და ცხოველსმყოფელო ჯუარო უფლისაო, განმდევნელო ეშმაკთა შენზედა ჯუარცმულისა ძალითა, უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესითა, ჯოჯოხეთსა შინა შთასლევითა ეშმაკისა ძალისა დამთრგუნველისაჲთა,

რომელმანცა მოგუანიჭა ჩუენ ჯუარი მისი ყოვლადპატიოსანი, განსადევნელად ყოველთა წინააღმდეგობთა ძალთა. მ, ყოვლადპატიოსანო და ცხოველს-მყოფელო ჯუარო უფლისაო! შეგუენწიე ჩუენ ყოვლადწმიდისა ქალწულისა ღმრთის-მშობელისა და ყოველთა წმიდათა თანა, უკუნისამდე. ამინ.

*ლოცვაჲ სათქუმელი თჳსგან*

გუკსენ, გუზბინე და მოგუტვეენ, ღმერთო, ცოდვანი ჩუენნი, ნებსითნი და უნებლიეთნი, საქმითნი, სიტყუითნი, გულის-სიტყუითნი და მოგონებითნი, დღისითნი და ღამითნი, გონებით და გულისხმისყოფით, ყოველივე ცოდვანი ჩუენნი შეგუნდვენ, ვითარცა სახიერმან და კაცთმოყუარემან.

სახიერო უფალო, შეუნდევ მოძულეთა და მაჭირვებელთა ჩუენთა.

კეთილისმყოფელთა ჩუენთა კეთილი უყავ, ძმათა ჩუენთა და თჳსთაცა მომადლე საცხოვრებელი თხოვაჲ მათი და ცხოვრებაჲ საუკუნოჲ. რომელნი სნეულ არიან, დაიცევ და კურნებაჲ მიჰმადლე, რომელნი ზღუასა შინა იჭირვიან, შეეწიე-მოგზაურთა თანამავალ ექმენ.

განაძლიერე ღმრთივდაცული ერი ჩუენი და მეუფებაჲ მისი ბრძოლასა შინა. რომელნი გკლწვიან ჩუენ და გუწყალობენ, მიჰმადლე მათ შენდობაჲ შეცოდებათაჲ. რომელნიცა ლოცუასა შემოვედრებულ არიან ჩუენ უღირსთასა, შეიწყალენ დიდითა შენითა წყალობითა.

მოივსენენ, უფალო, პირველ გარდაცვალებულნი მამანი და ძმანი ჩუენნი და განუსუენე მათ, სადა იგი მიხედავს ნათელი პირისა შენისაჲ.

მოიკსენენ, უფალო, ძმანი ჩუენნი, რომელნი ტყუუობასა შინა არიან, და იკსენ ივინი ყოვლისაგან განსაცდელისა.

მოიკსენენ, უფალო, ნაყოფის მომრთმეველნი და კეთილის-მოქმედნი წმიდათა ეკლესიათა შენთანი და მიეც მათ საცხოვრებელი თხოვამ მათი და ცხოვრებამ საუკუნოდ.

მოიკსენენ, უფალო, ჩუენცა მდაბალნი და ცოდვილნი, და უკმარნი მონანი შენნი და განანათლენ გონებანი ჩუენნი ნათლითა მეცნიერებისათა, სლვად გზას მცნებათა შენთასა, მეოხებითა ყოვლადუხრწნელისა დედუფლისა ჩუენისა ღმრთისმშობელისა და მარადის ქალწულისა მარიამისათა და ყოველთა წმიდათა შენთათა, რამეთუ კურთხეულ ხარ შენ უკუნითი უკუნისამდე. ამინ.

დიდება მამასა და ძესა და წმიდასა სულსა აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე. ამინ.

უფალო შეგკწყალენ (3 ზვის).

უფალო იესო ქრისტე, ძეო ღმრთისაო, ლოცვითა ყოვლადწმიდისა დედისა შენისათა, ღირსთა და ღმერთშემოსილთა მამათა ჩვენთათა და ყოველთა წმიდათათა, შეგკწყალენ ჩუენ. ამინ.

*ლოცვაჲ ძილად დაწოლისაჲ*

*სავედრებელი ყოვლადწმიდისა ღმრთისმშობელისა მამართ სამარადისოჲ*

ყოვლისა ნათესავისა კაცთასა სასოებაო და სიტკობეაო, სამკაულო, ყოველთა არსთა შექმნილთა უბრწყინვალესო ნათელო, ყოვლადწმიდაო ღმრთისმშობელო ქალწულო,

რომელმან პირველ ჟამთა გამოქცნელი იგი ნათელი, აღსასრულთა ჟამთასა კორცითა გკშევ ჩუენ, და ბნელისა იგი მალტებელი ცისკარი, მზისა მის სიძარათლისა დასლვასა მზისასა, ვითარცა ელვად აღმოგებრწყინვე, მოგკსენენ ჩუენცა, რომელნი ესე მოსრულ ვართ თაყუანისცემად სიწმიდისა შენისა და წადიერად და სურვილით ვხადით სახელსა შენსა წმიდასა, წარსრულისა ამის დღისა მტერისა მიერნი წყლულებანი სულთა ჩუენთანი განაქარვენ, რამეთუ შენ გესავთ, მოიხილე ჩუენზედა, ტკბილითა მაგით მეოხებითა შენითა უბიწო, წყალობის მომრთმელ გუეკქმენ ჩუენ ძისაგან შენისა, რამთა სიბნელესა ამას წინა მღებარესა ღამისასა შენ მიერ ყოველთაგან საფრკეთა და დაბრკოლებათა ეშმაკისათა უენებელად თანა წარუხდეთ, და კუალად ცისკრისა გალობასა, ურცხუნელითა და მხიარულითა პირითა აღვიმსოთ, დიდების მეტყუელებად და მადლობისა შეწირვად ძისა და ღმრთისა შენისა, უფლისა და მაცხოვრისა ჩუენისა იესო ქრისტესა, რომლისა არს დიდებამ, უკუნითი უკუნისამდე. ამინ.

*ამ ზემო დაწერილი ლოცვების თქმა თუ არ შეიძლება იდეს დროის უქონლობის გამო, მაშინ ეს ლოცვები თქვი ძილად მისღვის დროს და ძილის შემდეგ.*

**ლოცვაჲ ძილის შემდეგ**

ძილისაგან აღდგომილი, გმადლობ შენ, წმიდაო სამებაო, რამეთუ მრავლისა სახიერებისა და სულგრძელებისა შენისათვის არა განრისხენ ჩემ უძლებსა და ცოდვილსა ზედა, და არა თანაწარმწყმიდე მე უშჯულოებათა შინა ჩემთა; არამედ

ჩუეულებისაებრ კაცთმოყუარე მექმენ მე და უფსკრულსა შინა სასოწარკუთილებისასა მდებარჱ აღმადგინე აღმსობად და დიდების-მეტყუელებად ძალსა შენსა. აწცა განმინათლენ თუალნი გონებისა ჩემისანი, ალაღე პირი ჩემი ზრახვად სიტყუათა შენთა, და გულისკმის-ყოფად გზათა შენთა, და ქნად ნებისა შენისა, და გალობად სახელსა შენსა აღსარებითა გულისაითა, დიდებად და გალობად ყოვლადპატიოსანსა სახელსა შენსა, მამისა და ძისა და წმიდისა სულისა, აწ და მარადის, და უკუნითი უკუნისამდე. ამინ.

## ლოცვაჲ ძილად მისლვისაჲ

უფალო, ღმერთო ჩუენო, რაჲცა შეგცოდე დღეინდელსა ამას დღესა, სიტყუთ, საქმით და გულისკმის-ყოფით, ვითარცა კაცთმოყუარემან, მომიტევენ მე; მშუდობისა ძილი და უშფოთველობაჲ მომანიჭე მე; ანგელოსი შენი მფარველი მომივლინე, მფარველი და დამცველი ჩემი ყოვლისაგან ბოროტისა; რამეთუ შენ ხარ მფარველი სულთა და ჳორცთა ჩუენთაჲ და შენდა დიდებასა აღვაველენდეთ, მამისა და ძისა და წმიდისა სულისა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე. ამინ.